

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები

ავტორი: სალომე საღარაძე

თბილისი

2017

კვლევა მომზადდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“ ფარგლებში.

კვლევაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას



Kingdom of the Netherlands

სარჩევი

შესავალი	3
კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია და პერიოდი	4
ძირითადი მიგნებები	5
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ახალი წესი.....	3
საერთო მონაცემები	7
გამარტივებული შესყიდვის საფუძვლები	11
ა) ექსკლუზიური უფლებამოსილება.....	11
ბ) გადაუდებელი აუცილებლობა	12
გ) შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	16
დ) ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება.....	18
ე) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება.....	19
დასკვნა და რეკომენდაციები	21
დანართი	23

შესავალი

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობამ დადგინდება 2015 წლის 20 აპრილს მიიღო.¹ ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება განისაზღვრა. აღნიშნულის განხორციელების მნიშვნელოვან ინდიკატორად მთავრობამ გამარტივებული შესყიდვების რაოდენობის შემცირება განსაზღვრა.² OECD-ის მესამე რაუნდის შეფასების ანგარიშში,³ ასევე საუბარია გამარტივებული შესყიდვის საფუძვლის შემცირებაზე.⁴

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში ცვლილებებზე საუბარია ასევე საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ ევროკომისიის მიერ მომზადებულ მესამე ანგარიშში.⁵ აღნიშნული ანგარიში საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მეორე ფაზის შესრულებას ეხება. ევროკომისიის რეკომენდაციით,⁶ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს რომ წესები, რომლებშიც განსაზღვრულია კრიტერიუმები სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო პროცესის გარეშე ჩატარებისთვის, გარკვევით მიუთითებდეს იმ კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც ამის გაკეთება შეიძლება და იმ პროცედურებს რომლებიც უნდა შესრულდეს. აღნიშნულ პროცედურებში უნდა იყოს მოთხოვნა საზოგადოებრივი აზრის და საპირისპირო მოსაზრებების მქონე ადამიანების აზრის გათვალისწინების შესახებ. შესყიდვის სატენდერო პროცედურების გარეშე ჩასატარებლად აუცილებელი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დამოუკიდებელი თანხმობა.

2015 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი.⁷ ცვლილებების თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას კანონით

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2818704>

² ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა (2015-2016): „7.1.1.1. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში გამონაკლისებისა და გამარტივებული შესყიდვების შემცირების მიზნით, წინადადებების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის/პარლამენტისათვის წარდგენა“

³ <http://www.oecd.org/corruption/acn/GEORGIAThirdRoundMonitoringReportENG.pdf>

⁴ Remove possibility for the President or the Government to qualify procurement as a simplified excluding it from the e-procurement, except for cases of natural disasters and other similar emergencies.

⁵ http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/e-library/documents/policies/international-affairs/general/docs/third_progress_report_on_the_implementation_by_georgia_of_the_action_plan_on_visa_liberalisation_en.pdf

⁶ „Ensure that the rules setting out criteria for dispensing with the tendering process for public procurement contracts clearly define the precise circumstances under which this may be done and the procedures to be followed. These procedures should require public notice and the right of objectors to be heard. The decision to dispense with tendering should require independent approval by the State Procurement Agency.“

⁷ <http://www.parliament.ge/ge/law/9812/23861> ;

გათვალისწინებული საფუძვლით⁸ გამარტივებული შესყიდვისთვის ესაჭიროება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა. თანხმობის მოსაპოვებელი მიმართვა შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარუდგინოს. ამასთან, კანონპროექტით სააგენტოს თავმჯდომარეს დაევალა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით სააგენტოსთან გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების კონკრეტული წესის და პირობების განსაზღვრა.

საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი მესამე მოსმენით, 2015 წლის 24 ივლისს მიიღო. ახალი წესი ამავე წლის 1-ელ ნოემბერს შევიდა ძალაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ 2015 წლის 17 აგვისტოს დაამტკიცა გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი,⁹ რომელიც ასევე 2015 წლის 1-ელ ნოემბერს შევიდა ძალაში. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებსა და კრიტერიუმებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების წესს, აგრეთვე გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულების დადებასთან და შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე SMP მოდულში მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს თვალი ადევნოს გამარტივებული შესყიდვების შესახებ წარდგენილ მიმართვებს და სააგენტოს მიერ გაცემულ პასუხებს.

კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია და პერიოდი

წინამდებარე კვლევას ხუთი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

- 1) ზემოაღნიშნული მოდელის (SMP) პრაქტიკაში იმპლემენტაციის ანალიზი;*
- 2) იმის დადგენა თუ რამდენი გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა მონიტორინგის პერიოდში და მისი შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან;*
- 3) რა თანხა იქნა გათვალისწინებული შესყიდვების განხორციელებაში;*
- 4) რამდენ შესყიდვაზე დათანხმდა და რამდენ შესყიდვაზე განაცხადა უარი სააგენტომ;*
- 5) შემცირდა თუ არა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძვლები.*

ამასთან, კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა სააგენტოს მიერ გამარტივებული წესით განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებების შეფასება.

კვლევის მიზნებისთვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეისწავლა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებთან

⁸ სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტები;

⁹

http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/gamartivebuli_Sesyidvis_Catarebis_wesi.pdf.aspx

დაკავშირებით, გაეცნო OECD-ის და ევროკომისიის ანგარიშებს, შეისწავლა და გაანალიზდა სააგენტოს ვებ გვერდზე არსებული SMP მოდული. ასევე, კვლევის მიზნებისთვის საჯარო ინფორმაციის სახით სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია.

წინამდებარე კვლევა გამარტივებული შესყიდვების ერთი წლის შედეგების მონიტორინგია, შესაბამისად, ვინაიდან ახალი წესი ძალაში 2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან შევიდა, **მონიტორინგის დაწყების პერიოდად სწორედ 2015 წლის 1-ლი ნოემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 2016 წლის 1-ლი ნოემბერი განისაზღვრა.**

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ცვლილებებს, საია 2016 წლის ბოლომდე აკვირდებოდა პროცესებს, ვინაიდან სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში გამონაკლისებისა და გამარტივებული შესყიდვების შემცირების მიზნით, შემუშავებული ინიციატივები საქართველოს მთავრობისათვის/ პარლამენტისათვის დეკემბრის თვეში უნდა წარედგინა.

ძირითადი მიგნებები

კვლევის საანგარიშო პერიოდში, შედეგების გათვალისწინებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება გამოვლინდა, კერძოდ:

- **სააგენტომ 2016 წელს უფრო მეტი ღირებულების შესყიდვებზე გასცა თანხმობა, ვიდრე საკუთარ 2015 წლის წლიურ ანგარიშში გამარტივებულ შესყიდვების საერთო ღირებულებად აქვს მითითებული.**
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ წარუდგენია ინიციატივა არც მთავრობისთვის და შესაბამისად არც პარლამენტში შესულა კანონპროექტი, რომელიც გამარტივებული შესყიდვის საფუძვლებს ან შესყიდვების კანონში გამონაკლისებს შეამცირებდა;
- სააგენტოს მიერ შემსყიდველი ორგანიზაციების განაცხადებზე გაცემული თანხმობების ჯამური ღირებულება (გარდა „გადაუდებელი აუცილებლობის“ საფუძვლისა) ჯამში მილიარდ ლარს აჭარბებს;
- შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განაცხადების რაოდენობის მიხედვით „გადაუდებელი აუცილებლობით“ განხორციელებული შესყიდვები ჭარბობს;
- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესყიდვის კატეგორიის მიხედვით ყველაზე მეტი განაცხადი მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებსა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებთან დაკავშირებით გააკეთეს;
- **სააგენტომ „ექსკლუზიური უფლებამოსილების“ საფუძვლით 90,000,000 ლარზე მეტი ღირებულების განაცხადზე გასცა თანხმობა, აქედან 36 მილიონ ლარზე მეტი დაცვის მომსახურებაზე მოდის, სადაც მიმწოდებელს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს;**
- **შემსყიდველ ორგანიზაციებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით შესყიდვის დროს არ აქვთ ვალდებულება და შესაბამისად უმრავლეს შემთხვევაში არ აქვთ მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.** მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული

გამჭვირვალობის შემცირებას და სააგენტოს მხრიდან ამ ინდიკატორის გარეშე შეფასების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს;

- არსებობს შემსყიდველის მხრიდან შესყიდვაში არარეალურად მაღალი ფასის გადახდის საშიშროება. სააგენტო ავალდებულებს შემსყიდველს მიუთითოს შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა **არ ავალდებულებს სავარაუდო ფასის მითითებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, როდესაც შემსყიდველი იგივე რაოდენობის ან მოცულობის საქონელში/მომსახურებაში საკმაოდ მაღალ თანხას გადაიხდის.**
- ყველაზე მეტად მოთხოვნადი ორი შესასყიდი საქონლის, საწვავის და მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებსა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების შესყიდვისთვის შემსყიდველი ორგანიზაციები საფუძვლად თითქმის ყველა შემთხვევაში „გადაუდებელ აუცილებლობას“ ასახელებენ.
- გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ შეთანხმებით გაკეთებული განაცხადების ჯამური ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა ჯამში 9,574,438 ლარს შეადგენს.
- საანგარიშო პერიოდში ვერც სააგენტომ და ვერც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო ქმედითად მოეხდინა რეაგირება ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით **სააგენტოსთან შეთანხმებამდე მოხდა შესყიდვა, ხოლო შემდგომ სააგენტომ ასეთი შესყიდვა არამართლზომიერად ცნო.**
- ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გაკეთებული განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა ჯამში 15,000,000 ლარზე მეტს შეადგენს;
- დღემდე არ არის განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით **შესყიდვის ღირებულების ფარგლები;**
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გაკეთებული განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა, ჯამში 329,163,486 ლარს, 272,191,775 დოლარს და 12,700,254 ევროს შეადგენს.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ახალი წესი

ახალი წესის მიხედვით,¹⁰ რომელიც 2015 წლის 1 ნოემბერს შევიდა ძალაში, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისთვის შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოს თანხმობა ესაჭიროება შემდეგ შემთხვევებში:

- გადაუდებელი აუცილებლობა;
- გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ;

10


http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/gamartivebuli_Sesyidvis_Catarebis_wesi.pdf.aspx

- ექსკლუზიური უფლებამოსილება;
- მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება;
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება.

აღნიშნულმა წესმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მხრიდან სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების მინიმუმამდე დაყვანა. შესაბამისად, ამ თავში საუბარი იქნება გამარტივებული შესყიდვების იმ შემთხვევებზე, რომლებიც, კანონის მიხედვით, სააგენტოს თანხმობას საჭიროებს.

საერთო მონაცემები


მონიტორინგის პერიოდისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში, ჯამში, **4356 განცხადება დარეგისტრირდა**. აქედან, შესყიდვაზე თანხმობა სააგენტომ **3156 შემთხვევაში გასცა, უარი განაცხადა 315 შესყიდვაზე, განუხილველი დარჩა 214 განაცხადი, ხოლო 671 განაცხადი შემსყიდველმა ორგანიზაციამ უკან გაიხმო**.



შესყიდვის საფუძვლის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განაცხადების რაოდენობის მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები ჭარბობს. აღნიშნულის საფუძველზე შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 2286 განაცხადი გააკეთეს, ექსკლუზიური უფლებამოსილებით შესყიდვის შესახებ - 1030 განაცხადი, გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ შეთანხმების შესახებ - 437, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით შესყიდვის შესახებ - 137, ხოლო ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით - 466 განაცხადი გაკეთდა.

შესყიდვის საფუძველი

- ექსკლუზიური უფლებამოსილება
- გადაუდებელი აუცილებლობა
- შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ
- ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება
- ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება




სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით დამტკიცებულია 272 შესყიდვის ობიექტი (კლასიფიკატორის დანაყოფი).¹¹ აღნიშნული ბრძანების მიხედვით ასევე არსებობს ქვეკატეგორიები,¹² რომლებიც შედიან ზემოაღნიშნულ ძირითად დანაყოფში. შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესყიდვების შესახებ განაცხადი 197 შესყიდვის კატეგორიიდან (72%) განახორციელეს. ზოგიერთ შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ერთ განაცხადში შესყიდვის რამდენიმე კატეგორია მიუთითეს, შესაბამისად, კატეგორიების ჯამური რაოდენობა წარდგენილი განაცხადების რაოდენობას აღემატება - 5162 შემთხვევა. აქედან, 519 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე მოდის (CPV 45200000).

¹¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1014353>

¹² <http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/UsefulResources/CPV-codes-implemented-in-eProcurement.pdf.aspx>

შესყიდვების ხუთეული კატეგორიების მიხედვით




კვლევის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენდა შესყიდვების რაოდენობის შედარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან. აღსანიშნავია რომ, 2016 წლის მარტამდე CMR მოდულის საძიებო სისტემაში არასრულად იყო შესყიდვის საფუძვლის ჩამონათვალი მოცემული და შეიცავდა მხოლოდ რამდენიმე გამარტივებული შესყიდვის საფუძველს, რომელიც არ იძლეოდა საშუალებას მონიტორინგის ჯგუფს სრულყოფილად მოეხდინა შესყიდვების რაოდენობის შედარება წინა წლის პერიოდთან. ამასთან, თარიღის მონიშვნის დროს არ ხდებოდა და დღემდე არ ხდება იდენტიფიცირება, ხელშეკრულებები ამოირჩევა ხელშეკრულების დადების დღით თუ მისი რეგისტრაციის თარიღით შესყიდვების სისტემაში, ხოლო საძიებო სისტემას არ აქვს ფუნქცია, მომხმარებლის სურვილისამებრ აირჩიოს რეგისტრაციის ან ხელშეკრულების დადების თარიღი, რაც შედარების კიდევ ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. გარდა ამისა, თარიღის მითითების შემდეგ ისეთი ხელშეკრულებებიც ამოირჩევა, რომელთა გაფორმება მონიშნულ პერიოდამდე მოხდა, ხოლო მითითებულ პერიოდში ვადა გაუგრძელდა. 2016 წლის მარტში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაზარდა საძიებო ველში გამარტივებული შესყიდვების საფუძვლების ჩამონათვალი, თუმცა, სავარაუდოა, რომ გარკვეული საფუძვლების ქვეშ ინფორმაცია სრულად განთავსებული არ არის, კერძოდ, ხარისხის გაუარესების საფუძვლით 2014-2015 წლების პერიოდში¹³ მხოლოდ 2 ხელშეკრულებაა რეგისტრირებული, მაშინ როდესაც 2015-2016 წლის პერიოდში¹⁴ ასეთი საფუძვლით 40 ხელშეკრულება დარეგისტრირდა. ანალოგიური შემთხვევაა ექსკლუზიური საფუძვლით შესყიდვის დროს 2014-2015 წლის პერიოდში მხოლოდ 13 შემთხვევა ფიქსირდება, მაშინ როდესაც 2015-2016 წლებში 595 ხელშეკრულება გაფორმდა.

¹³ 2014 წლის 1 ნოემბრიდან - 2015 წლის 1 ნოემბრამდე;

¹⁴ 2015 წლის 1 ნოემბრიდან - 2016 წლის 1 ნოემბრამდე;

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების ელექტრონული სისტემის CMR მოდულის გამოყენებით განხორციელებული შედეგები:



ზუსტი და სრულყოფილი შედეგების მიზნით საიამ ასევე მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჯარო ინფორმაციის განცხადებით.¹⁵ სააგენტომ არ გასცა ინფორმაცია და აღნიშნა რომ ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ვებგვერდზე.¹⁶

*საერთო მონაცემებით მონიტორინგის პერიოდში (01.11.15- 01.11.16) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული იმ განაცხადების ღირებულება რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა მილიარდ ლარს აჭარბებს.*¹⁷ თუმცა, აღნიშნულში არ შედის ის განაცხადები, რომლებიც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით არის წარმოდგენილი, რადგან გადაუდებელი აუცილებლობის დროს შემსყიდველ ორგანიზაციებს არ აქვთ ვალდებულება და, უმრავლეს შემთხვევაში, არ აქვთ მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის CMR მოდულის მონაცემები რაოდენობრივი კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2015 წლის მონაცემებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ სააგენტომ 2016 წელს უფრო მეტი ღირებულების გამარტივებულ შესყიდვებზე გასცა თანხმობა, ვიდრე ეს 2015 წლის წლიურ ანგარიშში აქვს მითითებული. კერძოდ, 2015 წელს ხელშეკრულებების საერთო ღირებულება წარმოადგენდა 1,079,094,935 ლარს, ხოლო 2016

¹⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2016 წლის 25 ნოემბრის #გ-04/452-16 განცხადება;

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 13 დეკემბრის #5641 კორესპონდენცია.

¹⁷ 424'330'901 ლარი; 277'656'877 დოლარი; 18'699'769 ევრო;

წელს გაცემული თანხმობების საერთო ღირებულება 424'330'901 ლარს 277'656'877 დოლარს და 18'699'769 ევროს - ჯამში 1,130,598,815 ლარს.¹⁸

გამარტივებული შესყიდვის საფუძვლები

აღნიშნულ თავში საუბარია გამარტივებული შესყიდვის იმ საფუძვლებზე, რომელთა არსებობის დროს გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად აუცილებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ თანხმობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან.

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოების შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა.¹⁹ წესის მიხედვით არ უნდა არსებობდეს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. ამასთან, არსებობს კანონით დადგენილი შემთხვევები როდესაც შესყიდვა ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება.²⁰

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული წესით შესყიდვის განსახორციელებლად სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში უნდა შეავსოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი, რომელიც გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დანართით არის დამტკიცებული.²¹

¹⁸ თანხა ლარებში კონვერტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ წლიურ საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> ;


¹⁹ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

²⁰ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი:
ა.ა) შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;

ა.ბ) შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;

²¹ კითხვარები მოცემულია კვლევის დანართის სახით. გთხოვთ, იხილოთ დანართი #1;

SMP მოდულში ასეთი განაცხადი მონიტორინგის პერიოდისთვის (01.11.15 – 01.11.16) 1030-ს შეადგენს. აქედან სააგენტომ 782 შემთხვევაში განაცხადა თანხმობა, ხოლო 64 შემთხვევაში უარი.



იმ განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა (782 შესყიდვა) ჯამში 90,000,000 ლარზე მეტია.²²

სააგენტომ ექსკლუზიური უფლებამოსილებით 190 შემთხვევაში თანხმობა გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებით გასცა. ყველა განაცხადით მოთხოვნილია დაცვის მომსახურება, სადაც მიმწოდებელი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტია. რაც ბუნებრივია, რადგან კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს აქვს მინიჭებული უფლებამოსილება იარაღის გამოყენებით დაიცვას ობიექტი. აღნიშნულ შესყიდვებში ჯამში 36,804,935.34 ლარია განსაზღვრული.

ბ) გადაუდებელი აუცილებლობა

წესის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის კიდეც ერთი საფუძველი გადაუდებელი აუცილებლობაა. აღსანიშნავია, რომ გადაუდებელ აუცილებლობად ისეთი ვითარება ჩაითვლება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და არ შეიძლება წინასწარ ყოფილიყო განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. ასეთ შემთხვევაში, შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა და ვადა არ უნდა

²² 77,603,534.54 ლარი; 3,954,431.17 USD; 2,442,618.76 EUR.

აღმატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობასა და ვადას. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობას.

იმ შემთხვევაში თუ გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „არ შედგა“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების მიზეზით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო/საკონკურსო პირობებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) დაუშვებელია, შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება აღმატებოდეს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს;

ბ) დაუშვებელია მიმწოდებლის გამოცდილება და სხვა პერსონალური მახასიათებლები (წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვ.) იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი;

გ) დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი, თვისობრივი ან სხვაგვარი მონაცემები იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი.


წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაასაბუთოს ის ობიექტური გარემოებები რამაც გამოიწვია ზემოაღნიშნული პრინციპების დაუცველობა და დაურთოს ხელშეკრულებას.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული წესით შესყიდვის განსახორციელებლად სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში უნდა შეავსოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი.²³

SMP მოდულში ასეთი განაცხადი მონიტორინგის პერიოდისთვის 2286-ს შეადგენს. აქედან სააგენტომ 1635 შემთხვევაში განაცხადა თანხმობა, ხოლო 155 შემთხვევაში უარი.

²³ კითხვარები მოცემულია კვლევის დანართის სახით. გთხოვთ, იხილოთ დანართი #2;

განაცხადი გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებულ შესყიდვაზე



■ თანხმობა ■ უარყოფა ■ განუხილველი ■ გახმობილია

შესასყიდი საქონლის/მომსახურების საერთო ღირებულების დათვლა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ვერ მოხერხდა, ვინაიდან შემსყიდველ ორგანიზაციებს არ აქვთ ვალდებულება და უმრავლეს შემთხვევაში არ აქვთ მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. რაც იწვევს გამჭვირვალობის შემცირებას და სააგენტოს მხრიდან ამ ინდიკატორის გარეშე შეფასების სრულყოფილებას და შესაბამისად - ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს, შესაბამისად გაურკვეველია რამდენად სრული ინფორმაცია აქვთ გადაწყვეტილების მიღების დროს. ვინაიდან, წესის მიხედვით თუ გადაუდებელი აუცილებლობა ტენდერის უარყოფითად დასრულებულმა შედეგმა გამოიწვია, დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება აღემატებოდეს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს, ან სხვა კუთხით შეიცვალოს სატენდერო/ საკონკურსო პირობები. შეფასების კითხვარში კითხვაზე „ხელშეკრულების დადებით ხომ არ უარესდება სატენდერო/საკონკურსო პირობები?“ პასუხად შეუძლიათ გასცენ მხოლოდ „კი“ ან „არა“, რაც იმთავითვე ვერ გახდება ობიექტური შეფასების საფუძველი თუ სააგენტოს არ ეცოდინება რეალურად რა პირობები გააჩნდა ტენდერში მონაწილეობის დროს შემსყიდველ ორგანიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ კითხვარით სააგენტოს ვალდებულება აქვს დაასაბუთოს „რატომ ვერ იქნება დაცული სატენდერო/კონკურსის პირობები“, არსებობს რისკი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან, რომ თავი აარიდოს ამ კითხვას წინა კითხვაზე უარის თქმით. ვინაიდან მას არ აქვს ვალდებულება მიუთითოს უარყოფითად დასრულებული ტენდერის განცხადების ნომერი, ხოლო სააგენტო ვერ შეამოწმებს ორგანიზაციის პასუხის სისწორეს.

გარდა ამისა, ასევე არსებობს შემსყიდველის მხრიდან შესყიდვაში არარეალურად მაღალი ფასის გადახდის საშიშროება. სააგენტო ავალდებულებს შემსყიდველს მიუთითოს შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა არ

ავალდებულებს სავარაუდო ფასის მითითებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, როდესაც შემსყიდველი იგივე რაოდენობის ან მოცულობის საქონელში/მომსახურებაში საკმაოდ მაღალ თანხას გადაიხდის.

შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა დაევალოთ განაცხადის წარდგენისას მიუთითონ როგორც სავარაუდო შესყიდვის ფასი ასევე არსებობის შემთხვევაში უარყოფითად დასრულებული ტენდერის განაცხადების ნომერი.

კატეგორიების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოთხოვნადი შესასყიდი საქონლის, საწვავის, შესყიდვისთვის შემსყიდველი ორგანიზაციები საფუძვლად თითქმის ყველა შემთხვევაში გადაუდებელ აუცილებლობას ასახელებენ.²⁴ სააგენტომ 150 ორგანიზაციას მისცა თანხმობა ასეთი შესყიდვისთვის. 2 შესყიდვაზე სააგენტომ მას შემდეგ გასცა თანხმობა, რაც შემსყიდველმა უკვე განახორციელა შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.

ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი საწვავზე მოდის, ისეთ პროდუქტზე რომლის შექმნისთვის სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერს ატარებს. სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები,²⁵ რომლის მიხედვითაც, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან გამარჯვებულ კომპანიასთან დადონ ხელშეკრულება. თუმცა ამავე წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შემსყიდველს შეუძლია შეიძინოს გადაუდებელი აუცილებლობით საწვავი, თუ 15 კილომეტრის მანძილზე არ არსებობს გამარჯვებული კომპანიის ავტოგასამართი სადგური. ასეთი მიზეზით 120-მა შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო თანხმობა სააგენტოსგან. რამაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტად გამოიწვია თანხების არარაციონალური ხარჯვა. ვინაიდან ყველაზე დაბალი ფასის პრინციპი ამ შემთხვევაში აღარ მოქმედებს, შესაბამისად შემსყიდველი იმ თანხით ყიდულობს რაც ადგილზე მოქმედებს.

შესაბამისად, აღნიშნული ვერ მოაგვარებს შესაძლო არარაციონალური ხარჯვის პრობლემას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს ვალდებულება, სააგენტოსთვის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის დროს განაცხადების წარდგენისას მიუთითოს შესყიდვის ფასი. ძირითად შემთხვევებში, ეს პრობლემა რეგიონულ დონეზეა, შესაბამისად თუ სატენდერო კომისია კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობებში ავტოგასამართი სადგურების რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის და გამოყოფს თბილისისა და რეგიონის ავტოგასამართი სადგურების მინიმალურ რაოდენობას, აღნიშნული სავარაუდოდ ხელს შეუწყობს საწვავის უკეთ მიწოდებას ორგანიზაციებისთვის და არარაციონალური ხარჯვის რისკებს გაცილებით უფრო შეამცირებს.

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ყველაზე მეტი შესყიდვა სწორედ იმ კატეგორიას ერგო რომელიც შესყიდვებს შორის ყველაზე მსხვილია, კერძოდ, მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები. აღნიშნული კატეგორიით

²⁴ 272 შემთხვევიდან 257 განაცხადი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით არის წარმოდგენილი;

²⁵ <http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/matsne-2599971-0.pdf.aspx>

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 332-ჯერ მიმართეს სააგენტოს და აქედან 266 შემთხვევაში მიიღეს თანხმობა.

გ) შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ

მიუხედავად იმისა, რომ წესის მიხედვით გათვალისწინებული საფუძვლებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სააგენტოსთან უნდა შეათანხმოს, არსებობს გამონაკლისი რომელიც საშუალებას იძლევა უწყებამ მანამდე დაიწყოს შესყიდვის პროცედურები სანამ სააგენტოს მიმართავს. წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, თანახმად იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმება შეუძლებელია, რადგან შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ სიკეთე(ებ)ს,²⁶ შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მიმართავს სააგენტოს. სააგენტო ამოწმებს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო მართლზომიერად ცნობს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, ხოლო დაუდასტურებლობის შემთხვევაში - მოსთხოვს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის დაწყებული პროცედურების დაუყოვნებლივ შეჩერებას და მისი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.


შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული წესით შესყიდვის განსახორციელებლად სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში უნდა შეავსოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი.²⁷

ასეთი საფუძვლით SMP მოდულში 437 განაცხადი გაკეთდა, აქედან 390 განაცხადზე თანხმობა მიიღო, ხოლო 14 განაცხადი უარყოფით დასრულდა.

²⁶ რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

²⁷ კითხვარები მოცემულია კვლევის დანართის სახით. გთხოვთ, იხილოთ დანართი #3;

განაცხადი გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებულ შესყიდვის შემდგომ შეთანხმებაზე



■ თანხმობა ■ უარყოფა ■ განუხილველი ■ გახმობილია

იმ განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა (390 შესყიდვა) ჯამში 9,574,438 ლარს და 2,127 დოლარს შეადგენს.

როგორც აღინიშნა სააგენტომ 14 შესყიდვა არ ცნო მართლობიერად და დაავალა შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვის პროცედურების დაუყოვნებლივ შეჩერება. განაცხადები ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ, თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურმა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა წარადგინეს. ყველა შესყიდვაზე ორგანიზაციას დადებული აქვს ხელშეკრულება მიმწოდებელთან, რომელიც ხელმოწერილია და ძალაშია შესული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუდასტურებლობის შემთხვევაში სააგენტო მოსთხოვს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის დაწყებული პროცედურების დაუყოვნებლივ შეჩერებას და მისი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საიამ განაცხადებით მიმართა სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია დაეკისრათ თუ არა ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების, ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამის პირებს პასუხისმგებლობა (დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეთხოვათ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ასლების მოწოდება).²⁸ სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად,²⁹ შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებისა და ა(ა)იპ

²⁸ საქართველოს ახალგზარდა იურისტთა ასოციაციის 2016 წლის 25 ნოემბრის #გ-04/453-16 განაცხადება;

²⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 9 დეკემბრის # 5571 კორესპონდენცია;

თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მიმართ სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი და სამართალდარღვევის სანქციად მხოლოდ გაფრთხილება გამოიყენა, ხოლო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმართ შედგენილი ოქმი განსახილველად გადაგზავნილია სასამართლოში.

საიამ ჯერ კიდევ 2016 წლის თებერვალში მიმართა სააგენტოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,³⁰ რომლის პასუხადაც სააგენტომ, დანართის სახით წარმოადგინა 2016 წლის 15 იანვრით დათარიღებული წერილი, რომლითაც სააგენტო ითხოვდა განმარტებას რა ქმედებები იქნა განხორციელებული სააგენტოს განკარგულების აღსრულების მიზნით ააიპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ. განმარტებების წარდგენის ვადად სააგენტომ სამსახურს 5 დღე განუსაზღვრა. კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წლის 15 თებერვლის წერილით, სამსახურის დირექტორმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ განკარგულებით არამართლობიერად ცნო შესყიდვა, უკვე დაწყებული იყო ხელშეკრულებების შესრულება, შესაბამისად ვერ შეძლეს შესყიდვების დაწყებული პროცედურების შეჩერება. გარდა ამისა, ანგარიშსწორება 2015 წლის დეკემბერში იქნა განხორციელებული.

როგორც ზემოაღნიშნული კორესპონდენციებიდან ჩანს, ვერც სააგენტო და ვერც შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფენ ქმედითად მოახდინონ რეაგირება ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით სააგენტოსთან შეთანხმებამდე ხდება შესყიდვა, ხოლო შემდგომ სააგენტო ასეთ შესყიდვას არამართლობიერად ცნობს.

საჭიროა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესში“ უფრო დეტალურად გაიწეროს რას გულისხმობს „შესყიდვის პროცედურების დაწყება“. მოიცავს თუ არა ეს პროცედურები ხელშეკრულების დადებას, არის ის მხოლოდ ბაზრის კვლევა თუ კიდევ სხვა ქმედება. შესაბამისად, წესში უნდა განიმარტოს და დადგინდეს შესყიდვის პროცედურების დაწყების ფარგლები, რომლის განხორციელების შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას, სააგენტოს მიერ შესყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ექნება შესაძლებლობა შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები.


დ) ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება

სააგენტოს თანხმობის აუცილებლობა გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით ასევე გათვალისწინებულია თუ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან. ამ შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

³⁰ საქართველოს ახალგზარდა იურისტთა ასოციაციის 2016 წლის 12 თებერვლის #გ-04/48-16 განცხადება;

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული წესით შესყიდვის განსახორციელებლად სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში უნდა შეავსოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი.³¹

ასეთი საფუძვლით SMP მოდულში 137 განაცხადი გაკეთდა, აქედან 72 განაცხადზე უწყებებმა თანხმობა მიიღეს, ხოლო 20 განაცხადი უარყოფით დასრულდა.



იმ განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა (72 შესყიდვა) ჯამში 7,989,443 ლარს, 1,508,544 დოლარს და 3,556,897 ევროს შეადგენს.

ე) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება

წესის მიხედვით, სააგენტოს თანხმობას ასევე საჭიროებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით განსახორციელებელი გამარტივებული შესყიდვა. ჩასატარებელი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მიღწევას. ამასთან, აუცილებელია, რომ შეზღუდული დროის გამო, ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის პროცედურების მეშვეობით იწვევდეს ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და ხელს უშლიდეს მის უწყვეტად ჩატარებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა

³¹ კითხვარები მოცემულია კვლევის დანართის სახით. იხ. დანართი #4;

აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელებას, შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე, სააგენტოს თანხმობის შემდეგ, ადგენს:

ა) საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა – ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ან/და ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით შესყიდვის განხორციელებისას, აგრეთვე მათი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სხვა სახსრებით შესყიდვის განხორციელებისას;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესყიდვის განხორციელებისას.

როგორც დღეს არსებული წესით, ასევე 2015 წლის ნოემბრამდეც, შემსყიდველი ორგანიზაციები გამარტივებულ შესყიდვებს ახორციელებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, თუმცა რა იყო ასეთი ღონისძიება არც კანონით და არც მაშინ მოქმედი წესით დადგენილი არ იყო. მიუხედავად ამისა, მთავრობის აქტის საფუძველზე, მაინც ხდებოდა მილიონობით ლარის ხელშეკრულებების გაფორმება მათ მიერ შერჩეულ კომპანიებთან.


არც ახლა და არც მაშინ არ იყო დადგენილი შესყიდვის ღირებულების მაქსიმალური ოდენობა, რაც შესყიდვების სფეროში იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განსაზღვრული არ იყო რა შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება უწყებებისთვის თავისუფალი, ე.წ. უკონტროლო მოქმედების სფეროდ რჩებოდა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით შესყიდვის განსახორციელებლად შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს ვებგვერდის SMP მოდულში უნდა შეავსოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი.³²

მონიტორინგის პერიოდში აღნიშნული საფუძვლით SMP მოდულში 466 განაცხადი გაკეთდა, აქედან უწყებებმა 277 შემთხვევაში თანხმობა მიიღეს, ხოლო 62 განაცხადი უარყოფით დასრულდა.

³² კითხვარები მოცემულია კვლევის დანართის სახით. გთხოვთ, იხილოთ დანართი #5;

განაცხადი ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გამარტივებულ შესყიდვაზე



■ თანხმობა ■ უარყოფა ■ განუხილველი ■ გახმობილია

იმ განაცხადების საერთო ღირებულება, რომლებზეც სააგენტომ თანხმობა განაცხადა (277 შესყიდვა) ჯამში 329,163,486 ლარს, 272,191,775 დოლარს და 12,700,254 ევროს შეადგენს.

მიუხედავად შესყიდვების რაოდენობის სიმცირისა ღირებულების კუთხით ამ საფუძვლით შესყიდვა ლიდერობს. რაც კიდევ ერთხელ მოწმობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით შესყიდვის დროს მაქსიმალური თანხის და მასთან დაკავშირებული რეგულაციის საჭიროებას კორუფციის რისკების თავიდან აცილების მიზნით.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული საკითხების ანალიზის შედეგად შესაძლოა შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების წარმოდგენა:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ წარუდგენია ინიციატივა არც მთავრობისთვის და შესაბამისად არც პარლამენტში შესულა კანონპროექტი, რომელიც გამარტივებული შესყიდვის საფუძვლებს შეამცირებდა. აუცილებელია სააგენტოს ჩართულობით და მთავრობის ინიციატივით მოხდეს კონკრეტული გამონაკლისების შემცირებაზე მუშაობა და პარლამენტისთვის კანონპროექტის სახით წარდგენა, რათა რეალურად და პროპორციულად შემცირდეს, როგორც გამარტივებული შესყიდვის რაოდენობა ასევე შესყიდვის ღირებულების წილი მთლიან შესყიდვებში.
- საანგარიშო პერიოდში, შემსყიდველი ორგანიზაციების განაცხადებზე გაცემული თანხმობების ჯამურმა ღირებულებამ ჯამში **მილიარდ ლარს** გადააჭარბა. აღნიშნულ თანხაში შედის მხოლოდ 4 საფუძვლით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა, კერძოდ:

- გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ;
 - ექსკლუზიური უფლებამოსილება;
 - მიწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება;
 - სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება.
- ზემოთ აღნიშნულ ერთ მილიარდ ლარში არ შედის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდული საქონელი/მომსახურება, და რიგი სხვა დანარჩენი საფუძვლებით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის ღირებულებები. თუმცა, წინა წლის დაახლოებით იგივე პერიოდში³³ განხორციელებული მთლიანი გამარტივებულ შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება³⁴ დაახლოებით იმდენივეა რაც ზემოაღნიშნული, მხოლოდ, ოთხი საფუძვლით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ღირებულება.³⁵ ***შესაბამისად, მიუხედავად შესყიდვების რაოდენობის შემცირებისა, შესყიდვების ღირებულება არათუ არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა.***
 - აუცილებელია რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საკუთარ ანგარიშებში დეტალურად განიხილოს გამარტივებული შესყიდვების შესახებ მონაცემები. სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშებში ინფორმაციის უფრო დეტალური გაშლა, შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას სრულყოფილად მიიღოს ინფორმაცია წლის განმავლობაში რა საფუძვლით რამდენი შესყიდვა განხორციელდა, რა თანხებთან იყო დაკავშირებული აღნიშნული შესყიდვები და როგორია შესყიდვების სტატისტიკა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით.
 - ისეთ მოცემულობაში როდესაც, შემსყიდველ ორგანიზაციებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით შესყიდვის დროს არ აქვთ ვალდებულება და შესაბამისად უმრავლეს შემთხვევაში არ აქვთ მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ეჭვქვეშ დგება გამჭვირვალობის და სააგენტოს მხრიდან ამ ინდიკატორის გარეშე შეფასების ობიექტურობის საკითხები; გადაუდებელი აუცილებლობის დროს არსებობს შემსყიდველის მხრიდან შესყიდვაში არარეალურად მაღალი ფასის გადახდის საშიშროება. სააგენტო ავალდებულებს შემსყიდველს მიუთითოს შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად, თუმცა არ ავალდებულებს სავარაუდო ფასის მითითებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, როდესაც შემსყიდველი იგივე რაოდენობის ან მოცულობის საქონელში/მომსახურებაში საკმაოდ მაღალ თანხას გადაიხდის.
 - ფაქტიურად შეუძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შესყიდვის პროცედურების შეჩერება, მაშინ როდესაც, გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის

³³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის ანგარიშის პერიოდი მოიცავს 2015 წელს: http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/Angarishi_2015_geo.pdf.aspx

³⁴ 1,079,094,935 ლარი;

³⁵ 424'330'901 ლარი; 277'656'877 დოლარი; 18'699'769 ევრო;

შემდგომ შეთანხმების დროს შესყიდვას სააგენტო არამართლზომიერად ცნობს. ვინაიდან, ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია და მომსახურება უკვე განხორციელების პროცესშია ან მიწოდებულია შესყიდული საქონელი შემსყიდველები ვერ ახერხებენ ხელშეკრულების შეწყვეტას. შესაბამისად, წესში უნდა განიმარტოს და დადგინდეს შესყიდვის პროცედურების დაწყების ფარგლები, რომლის განხორციელების შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას, სააგენტოს მიერ შესყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ექნება შესაძლებლობა შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები.

- დღემდე არ არის განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვის ღირებულების ფარგლები, რაც ერთგვარ თავისუფლებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციებს გამარტივებული წესით დადონ საკმაოდ მაღალი ღირებულების ხელშეკრულებები ყოველგვარი დამატებითი რეგულაციის გარეშე ისე როგორც ნებისმიერი სხვა გამარტივებული შესყიდვის დროს ხდება. კორუფციის რისკების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია დაწესდეს ზღვარი მთავრობის თანხმობით განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებზე, იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ღირებულება გადააჭარბებს გარკვეულ ზღვარს დაწესდეს დამატებითი წესები შესაძლო კორუფციული გარიგების პრევენციის და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით.

დანართი

#1 ექსკლუზიური უფლებამოსილება

- გთხოვთ მიუთითოთ, რომელი პირის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება.
- გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
- რა არის შესყიდვის ობიექტი?
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
- რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება?
- რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?

- რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება?
- აღემატება თუ არა შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება 2 000 000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს? (კი/არა)
- [თუ აღემატება] ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, ხომ არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- [თუ აღემატება] როგორ განისაზღვრა ქვეყნის გარეთ გონივრული ტერიტორიული ფარგლები?
- [თუ აღემატება] რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- [თუ არ აღემატება] ქვეყნის შიგნით ხომ არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- [თუ არ აღემატება] რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- რამდენად შესაძლებელია, რომ შესყიდვის ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ კომპონენტებად და იმგვარად იქნეს შესყიდული? (კი/არა)
- [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება დანაწევრდეს შესყიდვის ობიექტი?
- [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება შესყიდვა დანაწევრებული კომპონენტების მიხედვით?
- [თუ შესაძლებელია დანაწევრება] რატომ არ შეიძლება დანაწევრებული კომპონენტების სხვადასხვა პირისგან შესყიდვა?
- როგორ განისაზღვრება ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები?
- რამდენად გონივრულია ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადა, იმ თვალსაზრისით, რომ ამ პერიოდში ბაზარზე შესაძლებელია გაჩნდეს საქონლის მომწოდებელი, მომსახურების გამწევი ან სამშენებლო სამუშაოს შემსრულებელი სხვა პირი ან/და მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?
- გთხოვთ, ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

#2 გადაუდებელი აუცილებლობა:

- გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
- რა არის შესყიდვის ობიექტი?
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
- რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?

- რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?
- რა რეალური საფრთხე ექმნება შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?
- ხომ არ აყენებს ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?
- ხომ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „არ შედგა“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების მიზეზით? (კი/არა)
- [თუ გამოწვეულია] გთხოვთ მონიშნოთ ტენდერის/კონკურსის სტატუსი.
- [თუ გამოწვეულია] ხელშეკრულების დადებით ხომ არ უარესდება სატენდერო/საკონკურსო პირობები? (კი/არა)
- [თუ იცვლება პირობები] გთხოვთ დაასაბუთოთ, რატომ ვერ იქნება დაცული სატენდერო/საკონკურსო პირობები?
- გთხოვთ მიუთითოთ ვადა, რომელიც საჭიროა ვითარების აღმოსაფხვრელად.
- გთხოვთ მიუთითოთ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად.
- რით დასტურდება, რომ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?
- რა ვადაა საჭირო ხელშეკრულების გასაფორმებლად?
- გთხოვთ, ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

#3 გადაუდებელი აუცილებლობა (თუ იგი ეფუძნება წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტს):

- გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
- რა არის შესყიდვის ობიექტი?
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
- რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?
- რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?
- რა რეალური საფრთხე ექმნებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?
- ხომ არ აყენებდა ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?
- გთხოვთ მიუთითოთ, ალბათობის მაღალი ხარისხით, შესყიდვის დაყოვნება რა გამოუსწორებელ ზიანს ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებს?
- გთხოვთ მიუთითოთ ვითარების აღმოსაფხვრელად შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა.

- რით დასტურდება, რომ შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?
- გთხოვთ ატვირთოთ დადებული ხელშეკრულება, თუ იგი ჯერ არ არის ატვირთული სისტემის CMR მოდულში.
- გთხოვთ, ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

#4 მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფა:

- გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
- გთხოვთ აღწეროთ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტი.
- ატვირთულია თუ არა სისტემაში თავდაპირველი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება? (კი/არა)
- [თუ ატვირთულია] გთხოვთ მიუთითოთ სატენდერო/საკონკურსო განცხადების ან ხელშეკრულების CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი.
- [თუ ხელშეკრულება დადებულია სისტემის ან სისტემის CMR მოდულის შექმნამდე] გთხოვთ, ატვირთოთ ხელშეკრულება.
- რა არის შესყიდვის ობიექტი?
- რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
- რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის ღირებულება?
- რატომ იქნება გამოწვეული შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესება ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შეუძლებლობა, თუ ხელშეკრულება არ დაიდება თავდაპირველ მიმწოდებელთან ან მის ქვეკონტრაქტორთან? რატომ ვერ გაფორმდება ხელშეკრულება სხვა მიმწოდებელთან?
- გთხოვთ, ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება

#5 სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება:

- გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდ(ებ)ი.
- გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.
- მოკლედ აღწერეთ ჩასატარებელი ღონისძიება.
- რატომ ატარებს ღონისძიება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს?

- რამ გამოიწვია ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა და რატომ ვერ იქნებოდა შესყიდვები წინასწარ დაგეგმილი?
- რა პერიოდია გათვალისწინებული ღონისძიების ჩასატარებლად?
- გთხოვთ მიუთითოთ ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ის ჩამონათვალი, ოდენობა (მოცულობა).
- რატომ გამოიწვევს ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის პროცედურების მეშვეობით შესყიდვა ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას?
- გთხოვთ, ატვირთოთ საქართველოს მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტის პროექტი.
- გთხოვთ, ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.